

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსულობების მიმდინარე დაზუსტებული გეგმა იყო 14 663 407 ლარი, ფაქტიურ შემოსავლებმა კი შეადგინა 14 995 440 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 102.3%-ით. თუ შევადარებო გასული 2013 წლის ფაქტიურ საკასო შესრულებას რომელიც შეადგენდა 12 939 390 ლარს, მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით შემოსულობები გაზრდილია 1 724 017 ლარით ანუ 11.8%-ით. მათ შორის გადასახადების გეგმა შეადგენდა 789924 ლარს, ფაქტიურად შესრულებულია 815957 ლარი ანუ 103.3%-ით, სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა 1833897 ლარს, შესრულებამ შეადგინა 2140902 ლარი, ანუ 116.7%.

გარდა ადგილობრივი შემოსავლების და სხვა შემოსავლებისა, ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილი იყო აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის წლირი გეგმა შეადგენდა 8541200 ლარს, ფაქტიურად მიღებულია 8541200 ლარი ანუ 100%. აჭარის ავტონომიური ორგანიზაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის წლიური გეგმა შეადგენდა 2165241 ლარს ფაქტიურად მიღებულია 2165240 ლარი ანუ 100%. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 1322903 ფაქტიურად მიღებულია 1321835 ანუ 99.9%.

განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის წლიური გეგმა შეადგენდა 789722 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 815755 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 103.3%-ით. მათ შორის საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმა შეადგენდა 445000 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 444531 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 99.9%-თ, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმა შეადგენდა 55188 ლარს, შესრულებამ შეადგინა 56159 ლარი, ანუ 101.8%, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 55460 ლარი, შესრულებამ შეადგინა 63198 ლარი ანუ 114%, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა შეადგენდა 234030 ლარს, შესრულებამ შეადგინა 251823 ლარი, ანუ 107.6 %.

სხვა შემოსავლების 2014 წლის წლიური გეგმა შეადგენდა 1833897 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 2140902 ლარი, ანუ 116.7%. მათ შორის:

- შემოსავალი სესხის, დეპოზიტის, ვექსელის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი) წლიური გეგმა შეადგენდა 708734 ლარს, ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 780680 ლარი. ანუ გეგმა შესრულდა 110.2%-ით.

- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან გეგმა შეადგენდა 90000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 75024 ლარი, ანუ 83.4%;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან გეგმა შეადგენდა 32945 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ კი შეადგინა 42953 ლარი, ანუ 130.4%

- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან გეგმა შეადგენდა 90000 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 96997 ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 107.8%-ით;

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გეგმა შეადგენდა 475698 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 528149 ლარს ანუ გეგმა შესრულდა 111 %-ით.

- შემოსავლები არაფინანსური აქტივებიდან გეგმა შეადგენდა 10242 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10306 ლარი. გეგმა შესრულდა 100.6%.

იხილეთ დანართი №1.

2014 წლის ხარჯვითი ნაწილის წლიური გეგმა შეადგენდა 17 466 256 ლარს, ფაქტიურად საკასო შესრულებამ შეადგინა 13255737 ლარი, გეგმა შესრულდა 75.9% -ით.

თუ შევადარებო გასული 2013 წლის წლიურ ფაქტიურ საკასო შესრულებას რომელიც შეადგენდა 10 428 914 ლარს, მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით 2 826 823 ლარით მეტი ხარჯია გაწეული ანუ 21.4%-ით. იხილეთ დანართი №2.

#### მათ შორის დარგობრივად:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში წლიური გეგმა შეადგენდა 2351189 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 2227661 ლარს, ანუ გეგმა შესრულდა - 94.7%-ით.
- მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯვითი ნაწილმა ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 65 982 ლარი. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 132895ლარი. სულ ადგილობრივი სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 156-ოჯახს მათ შორის: ხანძრის შედეგად დაზარალებულ 5-ოჯახს 4500ლარი, ტრაგიკულად დაღუპულ 3- ოჯახს-1500ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 20-ოჯახს 16277ლარი, მაგრამ იალურად მმიმე მდგომარეობაში მყოფ 125-ოჯახს 41740ლარი. და 100წელს გადაცილებულ ხანდაზმულ 3-მოქალაქეზე 1500ლარი. იხილეთ დანართი №3 და №3/1

#### თავდაცვის სფეროში:

- წლიური გეგმა შეადგენდა 106769 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 105130 ლარს, ანუ 98.5%.

#### საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

- წლიური გეგმა შეადგენდა 528734 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 515868 ლარი, ანუ 97.6%.

#### ეკონომიკური საქმიანობა

წლიური გეგმა შეადგენდა 1942994 ლარს, ფაქტიურ შესრულება კი 1499172 ლარი, ანუ 77.2%. მათ შორის: ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობისათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებული იქნა 8248 ტონა ციტრუსზე: აქედან სტანდარტულ ციტრუსზე სუბსიდირება 0.15თ ოდენობით-7189ტონაზე გაიცა 1 078 429ლარი, ხოლო არასტანდარტულ 1059 ტონა ციტრუსზე ანაზღაურებული იქნა 0.10თ ოდენობით-105 714ლარი სულ გაცემული იქნა 1 184 147 ლარი.

ხოლო თუ შევადარებო გასულ 2013 წლის შესრულებას ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობისათვის ანაზღაურებული იქნა 475 111ლარი, ხოლო 2014 წელს 1 184 147 ლარია გაცემული ანუ 709 036 ლარით მეტია ანაზღაურებული გასულ წელთან შედარებით.

#### გარემოს დაცვა

- წლიური გეგმა შეადგენდა 536462 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 499992 ლარი, ანუ 93.2 %,

#### საბინაო კომუნალური მეურნეობა

წლიური გეგმა შეადგენდა 6 953 484 ლარს, საკასო შესრულება კი 4 245 960 ლარი, გეგმა შესრულდა 61.1%-ით: მათ შორის ამასანაგობის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დაიხურა 10 სახლი: სალიბაურის სახლი №1, №3, №18, №22. თხილნარის მეურნეობაში სახლი №2, №7, №8, მახინჯაურში წერეთლის სახლი №6, სოფ. ფერიაში საცხოვრებელი სახლი და სოფ. კაპრეშუმში საცხოვრებელი სახლი №26. დასრულდა ორთაბათუმის ცენტრის კეთილმოწყობა, აჭარისწყლის საჯარო სკოლის მისასვლელი ბილიკის მოწყობა, შარაბიძეების თემის ტერიტორიული ორგანოს რემონტი და მიმდინარეობს გარდამავალ პროექტზე სოციალური სახლზე მშენებლობა.

**-გარე განათებაზე წლიური გეგმით გათვალისწინებული იქმ 299967 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 251178 ლარი, ანუ 83.7%. მათ შორის: დასრულდა ექვსივე სოფელში ცხემლარაში, სარფში, მახოში, ჭარნალში, მახინჯაურში და განთიადში გარეგანათების მოწყობა. -სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში მათ შორის გეგმა გათვალისწინებული იქმ 1446337 ლარი საკასო შესრულებამ შეადგინა 1434204 ლარი, ანუ 99.2%. მათ შორის სოფლის მხარდამჭერი პროგრამა წლიური გეგმა შეადგენდა 1322903 ლარს ხოლო ფაქტმა შეადგინა 1321835 ლარი იხილეთ დანართი №4, აგრეთვე მიმდინარე დონისძიებების ჩამონათვალი იხდანართი №5.**

#### **-ჯანდაცვის სფეროში**

ჯანდაცვის სფეროში არის 4-(ოთხთი) მიზნობრივი პროგრამა, აღნიშნული პროგრამების წლიური გეგმა შეადგენდა 145900 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 125680 ლარი, ანუ 86.1%.

#### **დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში**

- წლიური გეგმა შეადგენდა 1766849 ლარს, საკასო შესრულება კი 1569049 ლარი ანუ 88.8 %, მათ შორის:

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში წლიური გეგმა შეადგენდა 1186472 ლარს, საკასო შესრულება კი 996197 ლარს, ანუ 84%; მათ შორის: სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში გეგმა შეადგენდა 87504 ლარს, საკასო შესრულება კი 85552 ლარს, ანუ 97.8%.

#### **განათლების სფეროში**

- წლიური გეგმა შეადგენდა 2790406 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2134756 ლარი, ანუ 76.5%, მათ შორის:
  - სკოლამდელი აღზრდა - გეგმა შეადგენდა 2119055 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 1470431 ლარს ანუ გეგმა შესრულებულია 69.4%-ით, საშუალო ზოგადი განათლება გეგმა 181041 ლარი ფაქტიური შესრულება კი 174157 ლარს ანუ გეგმა შესრულებულია 96.2%-ით,
  - მომსახურება კულტურის სფეროში წლიური გეგმა შეადგენდა 462873 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 457935 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 98.9%. მათ შორის: დასრულდა აჭარის აღმართში ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია.

#### **სოციალური დაცვის სფეროში**

- წლიური გეგმით გათვალისწინებული იქმ 343469 ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 332469 ლარი, ანუ 96.8%, მათ შორის:
  - სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას (უფასო სასადილოები) - გეგმა შეადგენს 13007 ლარს, საკასო შესრულება კი - 13007 ლარს, ანუ 100%,
  - სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში გეგმა შეადგენდა 330462 ლარს, შესრულება კი 319462 ლარს, ანუ 96.7%.

იხილეთ დანართი №2.

ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 5 603 542 ლარს ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 5272961 ლარი,

რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 75.9% რომელიც შესრულებულია წლის მდგომარეობით დადებითია.

ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის გამგებელი

ნ. ვარშანიძე

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ტ. ნაკაშიძე